

შპს „GEOFIBRE“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბათუმი

2021 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულისააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მომზადების საფუძვლები.....	5
• ფუნქციონირებადი საწარმო	5
• უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
• ძირითადი საშუალებები	6
• არამატერიალური აქტივები	7
• ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის გაუფასურება	8
• მარაგები	8
• სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
• ფული და ფულის ექვივალენტები	9
• ანარიცხები და პირობით ვალდებულებები	9
• იჯარა (საოპერაციო იჯარა).....	10
• სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	11
• ამონაგები	11
• ხარჯები.....	12
• გადასახადები.....	13
• ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	13
• საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
• COVID	14
4. შეფასებები და დაშვებები	15
5. ძირითადი საშუალება	15
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	17
7. მზა პროდუქცია	18
8. სავაჭრო მოთხოვნა	18
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	18
10. სავაჭრო ვალდებულება	19
11. საგადასახადო ვალდებულება.....	19
12. საერთო მოგება.....	20
13. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	20
14. რისკების მიმოხილვა.....	20
• საბაზრო რისკი.....	20
• ლიკვიდურობის რისკი	21

1 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა N5	3,573,267	3,688,260	3,898,236
არამატერიალური აქტივები	შენიშვნა N5	512	1,024	1,535
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,573,779	3,689,283	3,899,772
მოკლევადიანი აქტივები				
მიმდინარე მარაგი	შენიშვნა N6	1,398,613	811,471	1,123,476
მზა პროდუქცია	შენიშვნა N7	176,360	222,930	152,724
სავაჭრო მოთხოვნები	შენიშვნა N8	352,021	0	526,639
გადახდილი ავანსები		91,473	347,678	5,460
პერსონალის მიმართ მოთხოვნები		0	129	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა N9	1,366,138	1,454,216	104,823
სხვა მიმდინარე აქტივები		150,441	125,624	78,358
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,535,046	2,962,049	1,991,481
სულ აქტივები		7,108,825	6,651,331	5,891,253
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	1,923,595
აკუმულირებული შედეგი		(2,058,103)	(3,345,306)	(3,353,877)
მიმდინარე წლის შედეგი		409,323	1,287,203	8,571
სულ კაპიტალი		6,995,119	6,585,796	(1,421,711)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება		0	0	7,248,923
სავაჭრო ვალდებულებები	შენიშვნა N10	80,297	63,429	51,436
პერსონალის მიმართ ვალდებულება		0	0	9,800
საგადასახადო ვალდებულებები	შენიშვნა N11	33,409	2,106	2,805
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		113,706	65,535	7,312,964
სულ ვალდებულებები		113,706	65,535	7,312,964
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,108,825	6,651,331	5,891,253

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი



2 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
ამონაგები	შენიშვნა N12	8,351,384	9,063,934	6,483,096
თვითღირებულება	შენიშვნა N12	(7,752,365)	(7,493,951)	(6,049,759)
საერთო მოგება		599,019	1,569,983	433,336
სხვა საოპერაციო შემოსავალი		44,094	82,268	64,762
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		0	0	(300)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა N13	(431,037)	(276,705)	(180,062)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(91,133)	(81,977)	(64,764)
საოპერაციო მოგება		(478,076)	(276,414)	(180,363)
კურსთაშორის სხვაობა (ნეტო)		187,844	30,553	(246,673)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		123,280	21,185	23,666
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(22,744)	(58,104)	(21,395)
არასაოპერაციო მოგება		288,380	(6,366)	(244,403)
მოგება დაბეგვრამდე		409,323	1,287,203	8,571
მოცემული წლის სრული შემოსავალი		409,323	1,287,203	8,571

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





3 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
2017	წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,862,939	0	(3,353,877)	(1,490,938)
2018	წლის კაპიტალის ცვლილება	60,656	8,571	0	(1,421,711)
2019	წლის კაპიტალის ცვლილება	6,720,304	1,287,203	0	6,585,796
2020	წლის კაპიტალის ცვლილება	0	409,323	0	6,995,118
2020	წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,643,899	1,705,096	(3,353,877)	6,995,118


შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





4 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფული	8,334,487	10,438,375	2,776,998
მიღებული ავანსები	0	0	0
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(5,257,358)	(6,349,754)	(711,052)
გადახდილი ავანსები	(1,536,554)	(1,337,484)	(651,334)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული	(1,073,390)	(971,898)	(1,007,395)
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0	0
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(379,713)	(275,299)	(280,471)
საპენსიო სააგენტოს გადასახადი	(47,301)	(38,212)	0
სადამფუძნებლო შენატანები	0	(50,192)	0
სულ ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	40,170	1,415,536	126,745
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	(248,426)	(123,558)	(1,137)
ბიოლოგიური აქტივის შეძენა	0	0	0
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	0	68,067	0
მიღებული პროცენტები	0	0	0
სულ ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(248,426)	(55,491)	(1,137)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის ძირითადი თანხა	0	0	0
აღებული სესხის ძირითადი თანხა	0	0	0
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულებები	0	(3,942)	0
გადახდილი დივიდენდები	0	0	0
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	(3,942)	0
სავალუტო ცვლილების ეფექტი	120,050	(6,582)	(26,319)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისისთვის	1,454,343	104,823	5,534
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოსთვის	1,366,136	1,454,343	104,823


შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





შპს „GEOFIBRE“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბათუმი

2021 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულისააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მომზადების საფუძვლები.....	5
• ფუნქციონირებადი საწარმო	5
• უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
• ძირითადი საშუალებები	6
• არამატერიალური აქტივები	7
• ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის გაუფასურება	8
• მარაგები	8
• სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
• ფული და ფულის ექვივალენტები	9
• ანარიცხები და პირობით ვალდებულებები	9
• იჯარა (საოპერაციო იჯარა).....	10
• სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	11
• ამონაგები	11
• ხარჯები.....	12
• გადასახადები.....	13
• ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	13
• საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
• COVID	14
4. შეფასებები და დაშვებები	15
5. ძირითადი საშუალება	15
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	17
7. მზა პროდუქცია	18
8. სავაჭრო მოთხოვნა	18
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	18
10. სავაჭრო ვალდებულება	19
11. საგადასახადო ვალდებულება.....	19
12. საერთო მოგება.....	20
13. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	20
14. რისკების მიმოხილვა.....	20
• საბაზრო რისკი.....	20
• ლიკვიდურობის რისკი	21

1 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა N5	3,573,267	3,688,260	3,898,236
არამატერიალური აქტივები	შენიშვნა N5	512	1,024	1,535
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,573,779	3,689,283	3,899,772
მოკლევადიანი აქტივები				
მიმდინარე მარაგი	შენიშვნა N6	1,398,613	811,471	1,123,476
მზა პროდუქცია	შენიშვნა N7	176,360	222,930	152,724
სავაჭრო მოთხოვნები	შენიშვნა N8	352,021	0	526,639
გადახდილი ავანსები		91,473	347,678	5,460
პერსონალის მიმართ მოთხოვნები		0	129	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა N9	1,366,138	1,454,216	104,823
სხვა მიმდინარე აქტივები		150,441	125,624	78,358
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,535,046	2,962,049	1,991,481
სულ აქტივები		7,108,825	6,651,331	5,891,253
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	1,923,595
აკუმულირებული შედეგი		(2,058,103)	(3,345,306)	(3,353,877)
მიმდინარე წლის შედეგი		409,323	1,287,203	8,571
სულ კაპიტალი		6,995,119	6,585,796	(1,421,711)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულება		0	0	7,248,923
სავაჭრო ვალდებულებები	შენიშვნა N10	80,297	63,429	51,436
პერსონალის მიმართ ვალდებულება		0	0	9,800
საგადასახადო ვალდებულებები	შენიშვნა N11	33,409	2,106	2,805
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		113,706	65,535	7,312,964
სულ ვალდებულებები		113,706	65,535	7,312,964
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,108,825	6,651,331	5,891,253

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





2 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019	2018
ამონაგები	შენიშვნა N12	8,351,384	9,063,934	6,483,096
თვითღირებულება	შენიშვნა N12	(7,752,365)	(7,493,951)	(6,049,759)
საერთო მოგება		599,019	1,569,983	433,336
სხვა საოპერაციო შემოსავალი		44,094	82,268	64,762
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		0	0	(300)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა N13	(431,037)	(276,705)	(180,062)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(91,133)	(81,977)	(64,764)
საოპერაციო მოგება		(478,076)	(276,414)	(180,363)
კურსთაშორის სხვაობა (ნეტო)		187,844	30,553	(246,673)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		123,280	21,185	23,666
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(22,744)	(58,104)	(21,395)
არასაოპერაციო მოგება		288,380	(6,366)	(244,403)
მოგება დაბეგვრამდე		409,323	1,287,203	8,571
მოცემული წლის სრული შემოსავალი		409,323	1,287,203	8,571

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





3 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის


საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
2017	წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,862,939	0	(3,353,877)	(1,490,938)
2018	წლის კაპიტალის ცვლილება	60,656	8,571	0	(1,421,711)
2019	წლის კაპიტალის ცვლილება	6,720,304	1,287,203	0	6,585,796
2020	წლის კაპიტალის ცვლილება	0	409,323	0	6,995,118
2020	წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,643,899	1,705,096	(3,353,877)	6,995,118

შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია
კომპანიის დირექტორი კომპანიის მთავარი ბუღალტერი





4 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფული	8,334,487	10,438,375	2,776,998
მიღებული ავანსები	0	0	0
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(5,257,358)	(6,349,754)	(711,052)
გადახდილი ავანსები	(1,536,554)	(1,337,484)	(651,334)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული	(1,073,390)	(971,898)	(1,007,395)
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0	0
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(379,713)	(275,299)	(280,471)
საპენსიო სააგენტოს გადასახადი	(47,301)	(38,212)	0
სადამფუძნებლო შენატანები	0	(50,192)	0
სულ ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	40,170	1,415,536	126,745
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	(248,426)	(123,558)	(1,137)
ბიოლოგიური აქტივის შეძენა	0	0	0
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	0	68,067	0
მიღებული პროცენტები	0	0	0
სულ ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(248,426)	(55,491)	(1,137)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის ძირითადი თანხა	0	0	0
აღებული სესხის ძირითადი თანხა	0	0	0
მეკავშირე საწარმოს მიმართ ვალდებულებები	0	(3,942)	0
გადახდილი დივიდენდები	0	0	0
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	(3,942)	0
სავალუტო ცვლილების ეფექტი	120,050	(6,582)	(26,319)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისისთვის	1,454,343	104,823	5,534
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოსთვის	1,366,136	1,454,343	104,823


შპს "GEOFIBRE"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი





5 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულისააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „GEOFIBRE“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 245621233. კომპანია დღე-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2008 წლის 26 ივლისს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ტბეთის ქ., № 6, ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ტბეთის ქ., № 6.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორებია:

1. ნეჟათ ონენ პ/ნ 17711746318, U 07058744

კომპანიის დამფუძნებლებია:

1. სააქციო საზოგადოება ბეტარექს მეტალიზე იფლიქ ვე ამბალაჟ სანაი ს/ნ 0167001169400016 – 100%

კომპანიის მენეჯმენს ახორციელებს დირექტორის მინდობილი პირი იასინ აბდულლაჰ ზერენ.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

• ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას,

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

6 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს „GEOFIBRE“ ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სარეკლამო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივების შეფასება და შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების შედგენიდან მომდევნო მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

• უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები

ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
2018	2.6766	3.0701
2019	2.8677	3.2095
2020	3.2766	4.0233

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

7 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალება	სასარგებლო გამოყენების ვადა
მიწის ნაკვეთი	
ძირითადი შენობა	30-50 წლამდე
წყლის რეზერვუარი	5-10 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წლამდე
ინვენტარი	5-10 წლამდე
დაცვის სისტემა	5-10 წლამდე
კამერები	5-10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

• არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურებით.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

8 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი წასყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, ასევე უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწერულ დანახარჯებს.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული მომსახურების ვადა

ისეთი არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადა, რომლებიც წარმოქმნილია სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადას, მაგრამ შესაძლოა იყოს უფრო მცირე, გამომდინარე იქედან, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს საწარმო ამ აქტივის გამოყენებას.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 წელს.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების ან გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან არ გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

• ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

• მარაგები

მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან, ამასთანავე სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

9 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

მარაგების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს მიერ ხორციელდება მარაგის გაუფასურების ტესტირება.

მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. მარაგის გაუფასურების შემთხვევაში, მარაგი უნდა შეფასდეს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარდეს გაუფასურების ზარალი.

- **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

- **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფულადი სახსრები შედგება საღარიბოში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

- **ანარიცხები და პირობით ვალდებულებები**

ანარიცხი აღიარდება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა ვიდრე არ მოხდება), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანარიცხი აღიარდება ვალდებულებად და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თანხა, რომლითაც ანარიცხი აღიარდება, არის იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც ანარიცხი მოიცავს მრავალრიცხოვან ელემენტებს, ანარიცხის შეფასებული თანხა ასახავს ყველა შესაძლო შედეგის საშუალო შეწონილ სიდიდეს, რომელიც შეწონილია მათი გასვლის ალბათობებით. თუ ანარიცხი წარმოიშობა ერთი ვალდებულებიდან, კონკრეტული ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასება არის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ინდივიდუალური შედეგი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითია, ანარიცხის ოდენობა იქნება იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად.

შემდგომი შეფასება

საწარმო ანარიცხის საპირისპიროდ ასახავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება ანარიცხები და კორექტირდება ისინი რათა მასში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით. წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირების თანხა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ანარიცხი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის თვითღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ანარიცხის აღიარების კრიტერიუმებს.

არსებობს პირობითი ვალდებულების ორი ტიპი:

ა) სავარაუდო ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს

ბ) მიმდინარე ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი ან ვალდებულების სიდიდის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

- იჯარა (საოპერაციო იჯარა)

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარე:

მეიჯარე საიჯარო შემოსავალში აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება) მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

მეიჯარე ხარჯის სახით აღიარებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

იმის დასადგენად გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარემ უნდა იხელმძღვანელოს აქტივების გაუფასურების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

11 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ჩვეულებრივი იჯარის დროს მოიჯარე:

მოიჯარე საიჯარო გადასახდელებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება), ხარჯად აღიარებს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

- **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან გადასახდელი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

კრედიტორული და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის გადასახდელი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

- **ამონაგები**

ამონაგები აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობით.

სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;

და

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

12 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილდებოდა ყველა შემდეგი პირობა:

ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებული ამონაგები

როდესაც სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება როგორც ამონაგები და ხარჯი სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად საჭიროა, რომ შესაძლებელი იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

• ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯების სიდიდე შეფასებულია საიმედოდ და წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებზე გაცემულ განაწილებასთან.

ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და თავიანთი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნებიან საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს. ზარალი აღირიცხება ცალკე მუხლად.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევრი) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკუროს სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

- გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში განაწილებული მოგება. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;

ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

- ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამარტო მისი სამართლებრივი ფორმა.

თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავე საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ

14 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს;

ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას;

გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საექვო ვალების ანარიცხებს; და

დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

არსებობს ორი ტიპის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

აღიარება და შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

- COVID

2019 წლის სექტემბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მსოფლიოს აუწყა გავრცელებული ვირუსის შესახებ, რომელიც შემდგომ Covid-19 -ის სახელით გახდა ცნობილი. საქართველოში მისი პირველი გამოჩენა მოხდა 2020 წლის დასაწყისში, რამაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოიწვია რიგი შეზღუდვები და რეგულაციების გამკაცრება. კომპანიების უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, მათ შორის შპს აჯადი-ც.

2020 წლის განმავლობაში, COVID -19-მა გამოიწვია შემოსავლების მიღების კუთხით შეფერხება მაგრამ მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანი საოპერაციო ცვლილებები და თანამშრომლების რაოდენობის შემცირება არ მომხდარა.

გახორციელდა დებიტორული მოთხოვნების ყოველდღიური კონტროლი. დაიგეგმა და გადაიხედა ფასების პოლიტიკაზე და გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც საბოლოო ჯამში მოიტანა ის შედეგი რომ კომპანიის არსებული ლიკვიდური აქტივებით კომპანიის ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

15 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

5. ძირითადი საშუალება

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	ძირითადი შენობა	წყლის რეზერუარი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	დაცვის სისტემა	კამერები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური	ჯამურად
2017 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	1,868,997	0	193,817	11,913	451	215,992	4,166	5,643,617
შესყიდვები	0	0	0	0	0	1,137	0	0	0	0	1,137
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	1,868,997	0	194,954	11,913	451	215,992	4,166	5,644,754
2018 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	1,868,997	0	194,954	11,913	451	215,992	4,166	5,644,754
შესყიდვები	0	0	0	121,626	0	1,918	0	0	0	0	123,544
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	0	(139,836)	0	(139,836)
2019 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	1,990,623	0	196,872	11,913	451	76,156	4,166	5,628,461
2019 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	1,990,623	0	196,872	11,913	451	76,156	4,166	5,628,461
შესყიდვები	0	0	0	133,539	370	575	0	0	113,825	0	248,310
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	790,300	2,530,415	27,565	2,124,162	370	197,446	11,913	451	189,981	4,166	5,876,770
ცვეთა	მიწის ნაკვეთები	ძირითადი შენობა	წყლის რეზერუარი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	დაცვის სისტემა	კამერები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური	ჯამურად

16 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი	0	199,397	5,237	925,931	0	122,825	6,354	144	167,452	2,119	1,429,459
ცვეთის დარიცხვა	0	47,572	2,481	233,586	0	17,771	1,390	77	12,135	512	315,523
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბერი	0	246,969	7,718	1,159,517	0	140,596	7,743	221	179,587	2,631	1,744,982
2018 წლის 31 დეკემბერი	0	246,969	7,718	1,159,517	0	140,596	7,743	221	179,587	2,631	1,744,982
ცვეთის დარიცხვა	0	47,572	2,481	239,634	0	18,083	1,390	77	8,199	512	317,946
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0	0	(123,750)	0	(123,750)
2019 წლის 31 დეკემბერი	0	294,541	10,199	1,399,150	0	158,679	9,133	298	64,035	3,143	1,939,178
2019 წლის 31 დეკემბერი	0	294,541	10,199	1,399,150	0	158,679	9,133	298	64,035	3,143	1,939,178
ცვეთის დარიცხვა	0	47,572	2,481	268,439	25	18,288	1,390	77	25,030	512	363,813
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	0	342,113	12,680	1,667,589	25	176,967	10,523	374	89,066	3,655	2,302,991
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	790,300	2,283,446	19,847	709,481	0	54,358	4,170	230	36,405	1,535	3,899,772
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	790,300	2,235,874	17,366	591,473	0	38,193	2,780	153	12,120	1,024	3,689,283
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	790,300	2,188,303	14,885	456,573	346	20,479	1,390	77	100,915	512	3,573,779

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია
კომპანიის დირექტორი კომპანიის მთავარი ბუღალტერი

17 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
შუალედური ანგარიში	1560	1560	1560
ძირითადი წარმოების ნედლეული და მასალები	1,372,138	714,265	1,015,496
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	24915	95 588	106 421
	1,398,613	811,471	1,123,476

მარაგები არის აქტივები. აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ზოგადად, პროდუქციის მწარმოებელი საწარმოსთვის მარაგები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

(ა) მზა პროდუქცია-აქტივები გამიზნულია გასაყიდად ჩვეული საქმიანობის პროცესში;

(ბ) დაუმთავრებელი წარმოება-აქტივები მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;

(გ) სახარჯი მასალები-აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია მასალების სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.

(დ) ნედლეული და მასალები-აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულის სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.

სახარჯი მასალები და ნედლეული და მასალები გამიზნულია საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში გამოსაყენებლად, მზა პროდუქცია, პირველ რიგში, განკუთვნილია მომხმარებლებზე გასაყიდად.

მარაგები წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს:

როდესაც ელემენტები, როგორცაა სათანადო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომასხურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები ვერ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც მარაგები.

კომპანია სასაქონლო-მატერიალურ საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებასა და შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც აკლდება მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ჩამოწერისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

შპს „ჯეოფიბრე“ ხელშეკრულებით იღებს ნედლეულს საბაჟო იმპორტის რეჟიმში, რომელსაც დამუშავების შემდეგ ემატება გაწეული დანახარჯების ღირებულება და ექსპორტის რეჟიმში ხდება საქართველოდან მიწოდება თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დამფუძნებელ კომპანია.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია მთლიანად ექცევა ექსპორტის რეჟიმში კომპანია არ ახდენს მარაგების თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს ფასამდე ჩამოფასებას.

18 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

7. მზა პროდუქცია

მზა პროდუქცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
მზა პროდუქცია	176,360	222,930	152,724
	176,360	222,930	152,724

8. სავაჭრო მოთხოვნა

სავაჭრო მოთხოვნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა 8

	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	352,021	0	526,639
	352,021	0	526,639

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ შემოსავალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს რომელთა გამომუშავებაც მოხდა საოპერაციო საქმიანობიდან.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7,305	2,458	96
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	141,832	2,195	9,491
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,217,001	1,449,563	95,236
	1,366,138	1,454,216	104,823

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები.

19 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

10. სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	80,297	63,429	51,436
	80,297	63,429	51,436

შ.პ.ს „ჯეოფიბრე“-ს სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს, მიღებული ნედლეულის ღირებულებას, რომელიც აქტიური პერიოდულობით იფარება.

11. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	33,409	2,106	2,805
	33,409	2,106	2,805

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით.

20 შპს „ჯეოფიზიკ“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

12. საერთო მოგება

საერთო მოგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,351,384	9,063,934	6,483,096
თვითღირებულება	(7,752,365)	(7,493,951)	(6,049,759)
	599,019	1,569,983	433,336

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ვალდებულება დაიფაროს, ან გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, “გაშლილი ხელის მანძილის” პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში

რეალური ღირებულება მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ. ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობები საწარმოსგან მოითხოვს შეფასების გაკეთებას პერიოდის ბოლოს ნებისმიერი გადაუხდეელი მოთხოვნის საფუძველზე. ბევრი საწარმო ამონაგებს აღრიცხავს გაყიდვის მთლიანი თანხით და ნებისმიერი ფასდათმობის აღსარიცხად ცალკე ანგარიშს გამოიყენებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანია ამგვარი ანგარიშების დახურვა ამონაგების საწინააღმდეგოდ და მხოლოდ წმინდა ამონაგების რიცხვითი მნიშვნელობის წარდგენა.

13. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ადმინისტრაციული ხელფასები	(224,747)	(139,909)	(113,261)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(122,556)	(54,384)	(3,064)
მივლინების ანაზღაურება	(7,395)	(1,610)	(12,081)
დაზღვევის ხარჯი	0	0	(682)
ცვეთა და ამორტიზაცია	(40,805)	(12,953)	(13,324)
ბანის საკომისიო	(1,791)	(807)	(365)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(33,021)	(50,702)	(37,264)
სხვა საერთო ხარჯი	(722)	(16,341)	(20)
	(431,037)	(276,705)	(180,061)

14. რისკების მიმოხილვა

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

21 შპს „ჯეოფიბრე“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

- ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.